


საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



x. ჯახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/190-17

30.05 2017 წ.

ქალაქ თბილისის საკრებულოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რა მიმართულებებითა და ოდენობით შემცირდა თბილისის საკრებულოში ფინანსური ხარჯები 2017 წლის 1 იანვრიდან? (ადმინისტრაციული ხარჯები, თანამშრომელთა ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატები) და სხვა);
2. განხორციელდა თუ არა რეორგანიზაცია თბილისი საკრებულოში 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის პერიოდში? რის საფუძველზე წარიმართა რეორგანიზაციის პროცესი? ჩატარდა თუ არა შიდა საკადრო აუდიტი ან შეიქმნა თუ არა სამუშაო ჯგუფი არსებული საშტატო ნუსხის შეფასების მიზნით? გთხოვთ, მოგვაწოდოთ, შიდა საკადრო აუდიტის/სამუშაო ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები, არსებობის შემთხვევაში;
3. რა მიმართულებებით და სფეროებში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელმაც გამოიწვია შტატების შემცირება? გთხოვთ, მოგვაწოდოთ, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებები საშტატო სტრუქტურის რეორგანიზაციის თაობაზე;

4. რამდენი საჯარო მოხელე გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით?
5. რა გარემოებები და კრიტერიუმები იყო გათვალისწინებული საჯარო მოხელის შერჩევისას რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას? (მაგ: ატესტაციის ან შეფასების შედეგები, დისციპლინური პასუხისმგებლობის ქონა და ა.შ.)
6. რამდენი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით?
7. რამდენმა საჯარო მოხელემ დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე სამსახური 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით?
8. რა ოდენობის თანხა დაიზოგა 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად?
9. რა ოდენობის თანხა დაიხარჯა რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კომპენსაციის სახით 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით?

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

ა. ნაცვლიშვილი

თავმჯდომარე